აღიარება... წაგების მიუხედავად

გუშინ ჩვენი სპეციალური კორესპონდენტი თ. ჭეიშვილი შეხვდა თბილისის "დინამოს" მწვრთნელს, რესპუბლიკის დამსახურებულ მწვრთნელს სერგო კუტივაძეს და ესპანეთის ტურნირის ამბები გამოჰკითხა. გთავაზობთ ამ ინტერვიუს:

- როგორ შეაფასა გუნდის ხელმძღვანელობამ "დინამოს" მიერ ესპანეთში ჩატარებული მატჩი?

- თქვენ თვითონ განსაჯეთ, დაწესებული 5 პრიზიდან სამი ჩვენმა ბიჭებმა წამოიღეს, მაშასადამე ტურნირის "ჟიურის" ურიგოდ არ შეუფასებია ქართველი ფეხბურთელების ოსტატობა.

- რა პრიზები მოიპოვეს დინამოელებმა?

- "ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელის" პრიზი ვლადიმერ გუცაევს გადაეცა. სხვათა შორის გუცაევი მთელი თავისი "ბრწყინვალებით" მოევლინა ამ ტურნირს. ამის დასადასტურებლად მადრიდის "რეალთან" ჩატარებული მატჩიც კმარა. ორივე ბურთი, რომელიც რამაზ შენგელიამ გაიტანა, გუცაევის უშუალო დამსახურებაა. ვოვამ ორჯერვე ცენტრიდან წამოიღო ბურთი, პირველ შემთხვევაში არნახული სისწრაფის "სლალომით" მოატყუა სამი თუ ოთხი ესპანელი, შეიჭრა საჯარიმო მოედანზე, გვერდი აუარა მეკარესაც და მაშინ, როცა უნდა დაერტყა, უმწეო მდგომარეობაში ჩავარდნილი "რეალის" მეკარე ფეხებში სწვდა და წააქცია. დაინიშნა პენალტი, რომელიც რამაზმა გაიტანა. ვოვამ მეორე შემთხვევაშიც იგივე გაიმეორა, ამჯერად მის მიერ დარტყმულ, კარის ძელიდან ასხლეტილ ბურთს რამაზმა მიუსწრო და ბადეში გაახვია.

"ტურნირის საუკეთესო ბომბარდირის" პრიზი რამაზ შენგელიას გადაეცა. მესამე პრიზი, "მცირე ასლი მთავარი პრიზისა" თბილისის "დინამოს" მიანიჭეს მოპოვებული მესამე ადგილისათვის.

- ცენტრალურმა ტელევიზიამ და პრესამ გადმოსცა და გამოაქვეყნა საკდესის ცნობა იმის შესახებ, რომ თითქოს "ბაიერნთან" პირველი გოლი სვანაძემ გაიტანა.

- სამწუხაროდ მცდარი ინფორმაცია გახლავთ. ვიმეორებ: ოთხივე ბურთი ამ ტურნირში გაიტანა რამაზ შენგელიამ და დამსახურებულად მოიპოვა "საუკეთესო ბომბარდირის" პრიზი.

- ყველა შეგვაშფოთა დავით ყიფიანის ტრავმამ. რამდენად სერიოზულია ეს ტრავმა და რამდენი ხნით გამოიყვანა მან მწყობრიდან "დინამოს" დისპეტჩერი?

- ფეხის მოტეხილობა თავისთავად სერიოზული ტრავმაა, მაგრამ დათოს პატარა ძვალი აქვს მოტეხილი და ექიმები და გუნდის ხელმძღვანელები ვარაუდობენ, რომ რამდენიმე კვირაში მწყობრში ჩადგება.

- თუ შეიძლება გაიხსენეთ დავით ყიფიანის მოცელვის მომენტი.

- ანხელი პერსონალურად მეურვეობდა დათოს და პირველი ტაიმის 12 წუთის განმავლობაში უხეში თამაშის გამო 4 ჯარიმა მიიღო. იგი აშკარად ცდილობდა მეტოქის მწყობრიდან გამოყვანას, ბოლოს გამეტებით მოუქნია ფეხი. ყიფიანი გაუსხლტა. უკან დარჩენილმა ანხელმა თავგანწირული ნახტომით ორივე ფეხი ჩასცხო დათოს... ყოველივე მოხდა მაშინ, როცა მატჩის დამთავრებას 15 წუთი აკლდა, სწორედ ამის შემდეგ წავაგეთ.

- როგორ აფასებთ "რეალისა" და "დინამოს" მატჩს?

- აქ ერთი რამ არის საგულისხმო. უკვე მესამედ ტარდება ტურნირი და ორივეჯერ "ბაიერნი" გახდა მთავარი პრიზის მფლობელი. "შერცხვენილმა ესპანელებმა" მიზნად დაისახეს რადაც არ უნდა დასჯდომოდათ საწადელისათვის მიეღწიათ და როგორც ხედავთ მიაღწიეს კიდეც. ჯერ ერთი დავით ყიფიანის მწყობრიდან გამოყვანა მოახერხეს, მეორეც ის, რომ... მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, მსაჯი ტენდენციური იყო... "რეალის" სასარგებლოდ...

- რას წერდა "დინამოს" შესახებ იქაური პრესა და რას ამბობდნენ ფეხბურთის უცხოელი სპეციალისტები?

- "დინამოს" ევროპაში საკმაოდ კარგად იცნობენ და ამ ტურნირის მიხედვითაც პრესამ და სპეციალისტებმა ჩვენ გუნდს კარგი შეფასება მისცეს. განსაკუთრებით მოეწონათ გუცაევი და შენგელია. გუცაევი ბევრი პროფესიონალური საკლუბო გუნდის ხელმძღვანელმა ინატრა (ამის მომსწრე თვით გახლდით).

- რა იტყვით "ბაიერნისა" და "დინამოს" მატჩის შესახებ?

- ეს მართლა სენსაციური მატჩი იყო, სიმართლე გითხრათ, ჩვენი გუნდის ხელმძღვანელობა ამას არ მოელოდა, პირველი ორი წუთის განმავლობაში შენგელიას მიერ დარტყმულ ხუთ ბურთს სასწაულებრივად გადაურჩა გერმანელთა კარი. რამაზმა ორჯერ, მეკარესთან პირისპირ გასვლის შემდეგ დაარტყა. ბურთი ერთხელ ძელს მოხვდა, მეორედ წაქცეულ მცველს. პირველი ტაიმის 10-15 წუთის განმავლობაში "ბაიერნის" ფეხბურთელებმა ბურთი საერთოდ ვერ მოიხელთეს, რამაც ისინი წონასწორობიდან გამოიყვანა. მართალია ქართველი ფეხბურთელების მიმართ უხეშობა არ გამოუმჟღავნებიათ, მაგრამ მსაჯს, როგორც იტყვიან, გული გაუწყალეს, ამის გამო, აღშფოთებული მაყურებლები კინაღამ მინდორზე გადმოვიდნენ (გერმანელი ფეხბურთელების ბედად მინდორი მაღალი ბადით იყო დაცული).

- ნუთუ მთელმა გუნდმა მსაჯის "არაობიექტურობის" გამო დატოვა ასე დემონსტრაციულად მოედანი? ანგარიში ხომ 2:1 იყო, წინ მთელი მეორე ტაიმი და პირველი ტაიმის დარჩენილი 10 წუთი ჰქონდათ, ხომ შეეძლოთ "საქმის გამოსწორება", მაინც რა იყო მთავარი მიზეზი გერმანელების "კაპიტულაციისა"?

- მთავარი მიზეზი ის გახლდათ, რომ საქვეყნოდ ცნობილ მრისხანე "ბაიერნს" შეეშინდა ევროპაში თავი არ მოსჭროდა და მინდვრიდან ("სუბიექტური მიზეზების გამო") მაშინ არჩია წასვლა, როცა ანგარიში არც ისე ტრაგიკული იყო. აშკარა გახლდათ, რომ ქართველი ფეხბურთელები მათ დიდი ანგარიშით დაამარცხებდნენ.

- ესპანეთის ტურნირიდან რომელ გუნდს გამოყოფდით?

- ჰოლანდიის "აზ-67"-ს. ეს გუნდი საოცრად ტექნიკურ და ელეგანტურ ფეხბურთს თამაშობს, როტერდამის "ფეიენოორდზე" ათი თავით მაღლა დგას. ამ გუნდშია პეტერსი, მისი ბადალი დღეს ევროპაში არ მეგულება. კიდევ ერთ გარემოებაზე მინდა გავამახვილო თქვენი ყურადღება. 30 აგვისტოს ღამის 4 საათზე ჩავფრინდით, ბიჭები მეტად დაღლილები იყვნენ, ვერ მოახერხეს წესიერად ევარჯიშათ...

- რას იტყვით იმ ახალგაზრდა დინამოელებზე, რომლებიც ტურნირში დიდი "დინამოს" პარალელურად გამოდიოდნენ?

- ამ გუნდში "დინამოს" დუბლებიდან თითქმის არავინ თამაშობდა. გუნდი დაკომპლექტდა 1963 წლის 1 აგვისტოს შემდეგ დაბადებული პერსპექტიული ფეხბურთელებით. ჩვენი ახალგაზრდები პირველად იყვნენ საზღვარგარეთ, თანაც საქვეყნოდ ცნობილ სტადიონზე გამოდიოდნენ. ამანაც უარყოფითად იმოქმედა. "რეალთან" 0:1 დამსახურებულად წავაგეთ. "ბაიერნს" კი ჩვენმა გუნდმა აშკარად აჯობა. ყველა პენალტი წარმატებით გამოვიყენეთ.

"ლელო", 8 სექტემბერი, 1981 წ.